საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/13 " 31 " იანვარი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს მიმდინარე წლის 27 იანვარს წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ითხოვა ქ. ბორჯომში, დ. აღმაშენებლის ქ. №14-ში (საკადასტრო კოდი: 64.23.02.526) მდებარე უძრავი ქონების, კერძოდ, ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს ყოფილი შენობის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის 2019 წლის 21 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების ვადის (რომელიც ერთხელ უკვე იქნა გაგრძელებული ერთი თვით და იწურება 2020 წლის 31 იანვარს) გაგრძელება 2020 წლის 1 მარტამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, მის ბალანსზე არსებული ზემოაღნიშნული ქონების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადის 2020 წლის 1 მარტამდე გაგრძელების თაობაზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი